

სადისერტაციო მაცნის (ავტორეფერატის) გაფორმების წესები

სადისერტაციო მაცნე წარმოადგენს სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის რეფერატულ აღწერას .

სადისერტაციო მაცნე შედგება შემდეგი ნაწილებისგან

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

- თემის აქტუალობა
- კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები
- ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები
- კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები
- ნაშრომის თეორიული ღირებულება
- ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა
- ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

- შესავალი
- თავების ანოტაციები
- დასკვნა
- დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხაში მიეთითება ავტორის (და თანაავტორის) სახელი, გვარი, ნაშრომის სათაური; გამომცემლობა, წელი. თუ ნაშრომი ჟურნალშია (ალმანახში, კრებულში) გამოქვეყნებული, მიეთითება ჟურნალის (ალმანახის, კრებულის) დასახელება, წელი, ნომერი და გვერდები).

სადისერტაციო მაცნის ქართულ ვერსიას უნდა დაერთოს მისი სრული თარგმანი. ინგლისურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთ უცხოურ ენაზე.

სადისერტაციო მაცნე სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე უნდა გამოქვეყნდეს და დაიგზავნოს.

სადისერტაციო მაცნის ტექნიკური გაფორმება

სადისერტაციო მაცნე წარედგინება საბჭოს წევრებს აკინძული და ყდაში ჩასმული, ხოლო შესაბამის სექციას ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (კომპაქტდისკზე - CD).

1. **ქაღალდი:** თეთრი, 70/80 - გრამიანი;
2. **ფორმატი:** A 5;
3. **გვერდების რაოდენობა:** 30-50 (ამ რაოდენობაში შედის ქართული და უცხოენოვანი თარგმანის ტექსტი);
4. **შრიფტი:** Unicode (მაგალითად Sylfaen). ტექსტის ზომა - 10, თავის სათაურის ზომა - 14, პარაგრაფის სათაურის ზომა - 12, ინტერვალი - 1.0;
5. **მინდორი:** ფურცლის ოთხივე მხარეს 20 მილიმეტრი;
6. **კინძვა:** ბროშურის ტიპის კინძვა;
7. **ტექსტის ნუმერაცია.** ნუმერაცია იწყება პირველი გვერდიდან;
8. **სადისერტაციო მაცნის სატიტულო თავფურცელი (გვერდი):**

- სატიტულო თავფურცლის (გვერდის) ზემო ნაწილში მიეთითება ქართული უნივერსიტეტის სრული დასახელება: „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“ (შრიფტი:11, Bold);
- სკოლის სახელი (შრიფტი 11, Italic);
- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (შრიფტი:11, Bold);
- „ხელნაწერის უფლებით“ (შრიფტი 10, Italic);
- დისერტანტის სახელი და გვარი (შრიფტი: 12, Bold);
- შუა ნაწილში სადისერტაციო თემის სრული სათაური (შრიფტი: 15, Bold);
- „<მისანიჭებელი კვალიფიკაცია>-ის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის“ (შრიფტი: 11)
- „სადისერტაციო მაცნე“ (შრიფტი: 15);
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი (შრიფტი: 11);
- თბილისი (შრიფტი: 11);
- თარიღი (შრიფტი: 11);

სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე იწერება: 1) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების ადგილი (უნივერსიტეტი, სკოლა ა.შ); 2) თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და სამეცნიერო ხარისხი; 3) რეცენზენტების სახელი, გვარი და სამეცნიერო ხარისხი; 4) სად და როდის შედგება სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, დაცვის თარიღი, დაწესებულების მისამართი; 5) როდის დაიგზავნა სადისერტაციო მაცნე (თარიღი); 6) შესაბამისი სექციის სწავლული მდივნის ხელმოწერა.

სადისერტაციო მაცნის სატიტულო ყდისა და მეორე გვერდის გაფორმების ნიმუში:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტი

_____ სკოლა

(საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება)

ხელნაწერის უფლებით

სახელი და გვარი

(სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება)

_____ დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(კვალიფიკაციის კოდი)

თბილისი

2019

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის
_____ სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **1. სახელი გვარი**, ხარისხი, წოდება

რეცენზენტები: **1. სახელი, გვარი**, ხარისხი, წოდება

2. სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება

დისერტაციის დაცვა შედგება 201__ წლის „_____“ _____
საათზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, _____
აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 201__ წლის „_____“ _____

სექციის მდივანი

ხარისხი

პროფესორი

(სახელი, გვარი)